№ 22/08
04.02.2021 წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №40

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 3 თებერვალი, 2021 წელი

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ს.ს.ი.პ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ-ს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი), წარმოდგენილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის და თსუ-ს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის რევაზ კვატაშიძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის, ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის პაატა თუშურაშვილის N6000048821 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,შემსყიდველმა", „მიმწოდებლისგან" მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით 71610000 - მომსახურებები შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმებისა და ანალიზის სფეროში - გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე, საერთო თანხით 1793.60 (ერთი ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტი ლარი და 60 თეთრი) დღგ-ს გათვალისწინებით (შემდგომში - ,,ხელშეკრულების ღირებულება").

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, არაუგვიანეს 2022 წლის 31 იანვარისა.
5. ხელშეკრულებას თან ერთვის ფასების ცხრილი, რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. ხელშეკრულება შედგენილია 7 გვერდზე, 4 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ორი - მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	ს.ს.ი.პ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84	მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის №1
ტელ: (995 32) 2 25 84 84	ტელ: (995 32) 2 22 78 62
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარში.
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა.
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707767126	სახაზინო კოდი:708967255
ს/კ 204852089	ს/კ 204864548

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მუმლაძე

ს.ს.ი.პ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ლაშა საღინაძე

თსუ-ს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი
რევაზ კვატაშიძე

Legal Entity of Public Law Levan Samkharauli National Forensics Bureau

Digitally signed by Legal Entity of Public Law Levan Samkharauli National Forensics Bureau
Date: 2021.02.08 14:59:28 +04'00'

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურეობა უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს და ნორმებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ინსპექტირების გზით განახორციელებ(ენ)ს ბიუროს ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი - დოდო ჩორგოლაშვილი.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების გაწევის ვადები

ბუნებრივი და არაბუნებრივი მასალის (ნიმუშის) საანალიზოდ მომზადებისა და მისი რენდგენოფაზური ანალიზის შესრულების მომსახურეობის გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით. გაწეული მომსახურეობის მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებ(ენ)ს ბიუროს სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი - გიორგი ჩადუნელი ან/და ქიმიურ - ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი - დოდო ჩორგოლაშვილი.

5.2 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტი.

6. გარანტია

მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის მომსახურეობა და იგი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ანგარიშსწორების ვალუტა და დაფინანსების წყარო

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

8.2 დაფინანსების წყარო: 2021 წლის საკუთარი შემოსავლები

9. ფასები

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართში N1 – ფასების ცხრილი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების 0,15%-ის ოდენობით, მაგრამ დღეში არანაკლებ 2 ლარისა.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 და 7.2 მუხლებით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადა გადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0,15% ოდენობით, მაგრამ დღეში არანაკლებ 2 ლარისა.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ მე-15 მუხლის 15.1 ან 15.2 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების 14.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილი დღის, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი ადრე დგება.

18. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

დანართი N1

ბუნებრივი და არაბუნებრივი მასალის (ნიმუშის) საანალიზოდ მომზადების ფასების ცხრილი

მომსახურება	რაოდენობა	ერთ. ფასი დღგ-ს გარეშე	ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით	სულ დღგ-ს ჩათვლით
სველი ნიმუშის გაშრობა	20	11	12,98	259,6
ნიმუშის დამსხვრევა	20	20	23,6	472
ნიმუშის გასაშუალება და საანალიზო ნიმუშის აღება	20	25	29,5	590
აღებული საანალიზო ნიმუშის მოხრესვა	20	20	23,6	472
სულ ჯამი:				1793.60

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მუმლაძე

ს.ს.ი.პ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ლაშა საღინაძე

თსუ-ს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი

რევაზ კვატაშიძე